

## საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №66 ს.კ.01.13.02.010.053 შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის ფარგლებში ცისტერნების განთავსების ტერიტორიის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ექსპერტიზა

ამ დასკვნაში მოცემულია, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს დაკვეთის საფუძველზე, ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. №66-ში, „სოკარი“-ს გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე (ს.კ.01.13.02.010.053), რეკონსტრუქციის ფარგლებში ცისტერნების განთავსებისთვის, შპს „გეოინჟინერინგსტი“-ს მიერ ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაციის საექსპერტო შემოწმების შედეგები.

შემოწმების მიზანს წარმოადგენდა – დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების, ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან.

შპს „გეოინჟინერინგსტი“-ს მიერ 2023 წლის იანვარში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამსახველი ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის სახით, აკინძულია ერთ წიგნად და შედგება ორი ნაწილისაგან:

**ტექსტური,** 9 ფურცლიანი ნაწილი, შედგება 5 თავისაგან: თავი 1 - შესავალი; თავი 2 - ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები; თავი 3 - გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები; თავი 4 - დასკვნები და რეკომენდაციები; თავი 5. გამოყენებული ლიტერატურა;

**დანართები** შედგება: 1. ტექნიკური დავალება - 1 ფურცელი; 2. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების წარმოების პროგრამა - 2 ფურცელი; 3. გრუნტების შემადგენლობისა და ფიზიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგების ჯამური ცხრილი - 1 ფურცელი; 4. ჭაბურღილების და ჭრილების განლაგების გეგმა მ-ბი 1:200 - 1 ფურცელი; 5. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები მ-ბი 1:100 - 1 ფურცელი; 7. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები მ-ბი 1:100 - 2 ფურცელი;

**ტექსტურ ნაწილში განხილულია:** თავი 1 – შესავალში, მითითებულია, ტერიტორიის ადგილმდებარეობა, სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია და სამუშაოების ჩატარების დრო. ჩატარებული სამუშაოების მეთოდოლოგია და მოცულობები. მოცემულია, რომ საკვლევ უბანზე გაყვანილ იქნა 3 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 18.0 მ, საიდანაც ლაბორატორიული კვლევისთვის, აღებულ იქნა 12 მონოლითური ტიპის თიხნაროვანი და 6 დარღვეული ტიპის სრეშოვანი ნიმუში. რომლებზეც ლაბორატორიულ პირობებში განსაზღვრულ იქნა, ფიზიკური თვისებების მაჩვენებლები. მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები მიღებულ იქნა ფიზიკური თვისებების მიხედვით, СНиП 2.02.01-83-ის 2.16 პუნქტის შესაბამისად. თავი 2 - აქ მოცემულია; საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა,

გეომორფოლოგია, ჰიდროგრაფია და რაიონის კლიმატური პირობები; **თავი 3** – ამ თავში მოცემულია რაიონის ტექტონიკა და უშუალოდ საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები, სადაც აღნიშნულია, რომ კვლევის უბანი წარმოდგენილია მეოთხეული ( $Q_{IV}$ ) სტრატეგრაფიული ერთეულის, 4 ლითოლოგიურ-გენეტიკური ტიპით. ამავე თავში აღნიშნულია, რომ დაძიებულ 6.0 მ სიღრმემდე გრუნტის წყლები არ გადაკვეთილა, მაგრამ ავტორები ვარაუდობენ, რომ მიწის სამუშაოების 5.5-6.0 მ-მდე ჩატარების პირობებში, შესაძლებელია, გარკვეულ პერიოდში მოხდეს წყლის შემოდინება. ეს ვარაუდი გამოთქმულია ამავე ორგანიზაციის მიერ 2021 წ. აგვისტოში, მიმდებარე ტერიტორიაზე, ბელიაშვილის 84-ში, მრავალფუნქციური სახლის მშენებლობის პროექტისთვის ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სადაც აღნიშნულია რომ ჭაბურღილებით გრუნტის წყლები გადაიკვეთა 6.8 მ სიღრმეზე და სტსტიკური დონე დამყარდა 5.4 მ სიღრმეზე, ამიტომ აქ მოყვანილია გრუნტის წყლის ქიმიური მახასიათებლები; **თავი 4** – აქ გაცემულია 8 პუნქტიანი დასკვნები და რეკომენდაციები ესენია: 1. გამოკვლეული სამშენებლო უბნის ადმინისტრაციული მისამართი: ქ. თბილისი, დიდოში, ბელიაშვილის ქ. №66 ს/კ. 01.13.02.010.053; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია განეკუთვნება III კატეგორიას (რთული), ოთხი ლითოლოგიური ფენა; 3. გამოკვლეულ ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ დაიკვირვება და მომავალშიც მოსალოდნელი არ არის, ამიტომ დამატებითი ღონისძიებების ჩატარებას არ საჭიროებს; 4. საკვლევ ტერიტორიაზე საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების ანალიზის საფუძველზე, დაძიებულ 6.0 მ სიღრმემდე, სახ. სტანდარტ. 25100 – 82 მოთხოვნების შესაბამისად, გამოყოფილ იქნა: ერთი ფენა და სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე), რომელიც წარმოდგენილია: **I ფენა** - ტექნოგენური: 0.4 მ რკინა-ბეტონის ფილა, 1.0 ხრეშოვანი მომზადებით და 0.6 მ სამშენებლო ნარჩენების, ხრეშისა და თიხნარის ნარევით ( $tQ_{IV}$ ). მაქსიმალური გახსნილი სიმძლავრე 2.0 მ; **სგე 1** - თიხნარი ყავისფერი, ნახევრადმაგარი, ხვინჭისა და ღორღის ჩანართებით 15% მ-დე, დელუვიურ-პროლუვიური ( $dpQ_{IV}$ ); **სგე 2** - ხრეშოვანი გრუნტი თიხაქვიშის შემავსებლით, კაჭარის იშვიათი ჩანართებით, ალუვიური ( $aQ_{IV}$ ); **სგე 3** - თიხა, ყავისფერი, ნახევრადმაგარი. დელუვიურ-პროლუვიური ( $dpQ_{IV}$ ). აქვე მოყვანილია მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და აღნიშნულია, რომ მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები განსაზღვრულია სნ და წ 2.02.01-83 პარაგრაფი 2.16 მითითებათა შესაბამისად და თანდართული ცხრილების 1-3 გამოყენებით; 5. აქ მოცემულია გრუნტების კატეგორია დამუშავების სირთულისა (СНП-IV-5-82-ის) და სეისმური თვისებების მიხედვით (პნ 01.01-09 „სეისმომედები მშენებლობა“) მიხედვით; 6. კვლევის პროცესში გაყვანილი ჭაბურღილებით გრუნტის წყლები არ გადაკვეთილა (რომ არ განვმეორდეთ, ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე) ავტორები იძლევიან რეკომენდაციას, რომ პროექტირებისას გათვალისწინებულ მომიჯნავე ტერიტორიის, გრუნტის წყლის მათ მიერ მიწოდებული მახასიათებლები; 7. გაცემულია რეკომენდაცია

მასზედ, რომ პროექტირებისას დაფუძნებითვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამივე საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტი; 8. ამ პუნქტში მოცემულია რომ, საპროექტო-სამშენებლო ნორმატივის – პნ 01.01-09 “სეისმომდები მშენებლობა“-ს მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მდებარეობს სეისმური საშიშროების 8 ბალიანი ზონის ფარგლებში.

**თავი 5 –** აქ მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის 9 პუნქტიანი ჩამონათვალი;

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები სწორად პასუხობს სამშენებლო საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოთხოვნებით დასახულ ძირითად ამოცანებს და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამშენებლო პროექტის საფუძვლად საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

### **დასკვნითი ნაწილი**

ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი, ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №66 ს.კ.01.13.02.010.053 შპს “სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის ფარგლებში ცისტერნების განთავსების ტერიტორიის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები, შედგენილია მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი

ინჟინერ-გეოლოგი

10.01.2023

თამარ ბეჟაშვილი



Georgia  
საქართველო  
IDENTITY CARD  
მოქალაქის პირადობის მოწმობა

სახელი / FIRST NAME  
თამარ  
TAMAR

გვარი / LAST NAME  
ბეჟაშვილი  
BEZHASHVILI

მოდ. / CIT  
GEO

სქესი / SEX  
მდე / F

პირადი No / PERSONAL No  
01024048730

დაბადების თარიღი  
DATE OF BIRTH  
29.09.1952

მოქმედების ვადა  
DATE OF EXPIRY  
12.08.2023

გარათის No / CARD No  
13IB39404

ხელმოწერა  
SIGNATURE




დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH  
თბილისი  
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE  
12.08.2013

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY  
იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სსს; დამამუშავებელი: MB-IDS 02/13  
სსს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE013IB39404101024048730<<<<  
5209299F2308124GEO<<<<<<<<<<<<<1  
BEZHASHVILI<<TAMAR<<<<<<<<<<<<<





# დიპლომი

№ 189199

ეს დიპლომი მიეცა ბეჯაშვილ ტაშაშვილ  
ბეჯაშვილ შვიტოს  
მასზე, რომ იგი 1969 წელს შევიდა  
კ.ი. ლენინის სახელობის სასწავლო  
ინსტიტუტში  
და 1974 წელს დაამთავრა  
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია  
და საინჟინრო-გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.  
„30“ ივნისის გადაწყვეტილებით  
ბეჯაშვილ ტაშაშვილ მიენიჭა სამაღ  
ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის  
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო  
კომისიის თავმჯდომარე  
ბეჯაშვილ ტაშაშვილ  
ბ. ა. მელიქიძე

ქალაქი თბილისი 1974 წ. „4“ სექტემბერი  
სარეგისტრაციო № П.Е. 371

# ДИПЛОМ

№ 189199

Настоящий диплом выдан Бежашвили  
Тамаре Георгиевне  
в том, что она в 1969 году поступила  
в Грузинский политехнический  
институт им. В.И. Ленина  
и в 1974 году окончила полный курс  
названного института

по специальности Гидрогеология и  
инженерная геология

Решением Государственной экзаменационной  
комиссии от „30“ июня 1974 г.  
Бежашвили Т.Г.  
присвоена квалификация Горного  
инженера-гидрогеолога

Председатель Государственной  
экзаменационной комиссии  
Ректор Б. Меликшвили  
Секретарь Н. Пасарик

М. П. Город Тбилиси, „4“ сентября 1974 г.  
Регистрационный № П.Е. 371

# Curriculum Vitae

სახელი, გვარი: *თამარ ბეჟაშვილი*  
დაბადების წელი: *29 სექტემბერი, 1952 წელი.*  
ეროვნება: *ქართველი.*  
მისამართი: *თბილისი, პეკინის ქ. №97.*  
*ტელ.: (+995)555514334*

განათლება: *უმაღლესი; 1969–1974 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის კათედრა, სპეციალობა ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია.*

## სამუშაო ადგილი:

*1974-1975 ყაზახეთის სსრ ჰიდროგეოლოგიური სამმართველოს აქტიუბინსკის ჰიდროგეოლოგიური ექსპედიცია, – გეოლოგი;*  
*1975-1996 „საქგეოლოგია“ – ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური ექსპედიცია;*  
*1975-1980 იორის ჰიდროგეოლოგიური პარტია – ტექნიკ-გეოლოგი;*  
*1980-1991 საბადოთა შემსწავლელ პარტიაში, ჯერ ტექნიკ-გეოლოგი, შემდეგ უფროსი ტექნიკ-გეოლოგი;*  
*1991-1993 ამავე პარტიაში გეოლოგი;*  
*2006-2012 შპს „გეოინჟმშენინვესტი“ ინჟინერ-გეოტექნიკოსი*  
*2012-2021 შპს „გიმი“ ინჟინერ-გეოტექნიკოსი*

## ■ სამუშაო გამოცდილება სპეციალობით:

შპს „კვარციტი“-ს კაზრეთის ტერიტორიაზე, გამოტუტვის მოედნებისა და სანაყაროების მდგრადობების შესწავლა-შეფასება (2006-2012 წწ). ინჟინერ-გეოტექნიკოსი (შპს „გეოინჟმშენინვესტი“);

შოთა რუსთაველის სახელობის, სახელმწიფო გრანტი – მდ. არაგვის საინჟინრო აუზის საინჟინრო გეო-ეკოლოგიური შესწავლა-შეფასება (2009-2012 წლების პერიოდში) ინჟინერ-გეოლოგი;

შპს „RMG GOLD“-ის კაზრეთის და საყდრისის უბნებზე გამოტუტვის მოედნებისა და სანაყაროების მდგრადობების შესწავლა (2012-2020 წლების პერიოდში). ინჟინერ-გეოტექნიკოსი (შპს „გიმი“);

საბურთალოს რაიონში განვითარებული თანამედროვე გეოლოგიური პროცესების კვლევა (მდ. კერე, მდ. დიდმის წყალი, ზემო ვეძისი-ვაშლიშვილის დასახლება, სოფ. დიდომი, იყალთოს გორა, მუხათგვერდის სასაფლაოს მისასვლელი გზა – ქ. თბილისის მერიის 2 ტენდერი 2015წ). ინჟინერ-გეოლოგი, ლაბორატორიული სამუშაოების ხელმძღვანელი (შპს „გიმი“);

ნაძალადევის რაიონში განვითარებული თანამედროვე გეოლოგიური პროცესების კვლევა (ნაძალადევის 11 უბნის დეტალური ს.გ. კვლევა – ქ. თბილისის მერიის 2017წ ტენდერი). ინჟინერ-გეოლოგი, ლაბორატორიული სამუშაოების ხელმძღვანელი (შპს „გიმი“);

დმანისის მუნიციპალიტეტში იაყუბლოს წყალსაცავის გეოლოგიური კვლევა. ინჟინერ-გეოლოგი (შპს „გიმი“);

ხორგა-ყულევის შიდა სახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის პროექტირებისათვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. ინჟინერ-გეოლოგი (შპს „გიმი“);

ქ.თბილისში ჭავჭავაძის გამზ. №33-ში, მოსაშვილის ქ. №26-ში, ფალაიაშვილის ქ. (შპს „გიმი“);

**უცხო ენები:** *რუსული - თავისუფლად, გერმანული – ლექსიკონის დახმარებით;*

**კომპიუტერი:** *MS Windows; MS Office; .*